№ 70
პარასკევი, 1 აპრილი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 70
პარასკევი, 1 აპრილი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**„ივერია“**
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„**ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

---

გამოვიდა და ისყიდება
ახალი ქართული საცეკვაო ჰანგი
ფორტეპიანოზე დასაკვრელად,
თხზ. საწყალიშვილისა.
ფასი 70 კაპ.

მთელი მოგება, ამ ნოტებიდგან აღებული, მოხმარდება საქველ-მოქმედო საქმეს.

მსურველთ შეუძლიანთ დაიბარონ ამ ადრესით:

ეკატერინოდარი (ყუბანის ოლქი), დიმიტრი ეგნატეს ძეს არაკჩიევს, კრასნაია ქუჩა, სახ. ბარადინისა.

(1—1089—1)

---

გორის მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლი აცხადებს და უმორჩილესად სთხოვს თავად-აზნაურთა გორის მაზრისას.

1) მობრძანდნენ ქ. გორს 10 აპრილს დილის 12 საათზედ გორის მაზრის კეთილშობილთა ჩვეულებრივ კრებაზედ, მოსამზადებლად სხვა-და-სხვა განკარგულებისა მომავალ მაისში გუბერნიის კრებისათვის, მოსალაპარაკებლად თავიანთ საჭიროებაზედ და სასარგებლო საგნებზედ.

2) წარმოადგინონ ჩემთან კანონიერი საბუთები, რომლითაც შეეძლებათ მიიღონ მონაწილეობა ყოველ საგნის განხილვაში და წინამძღოლების არჩევანში საგნების განსასჯელად და გარდასაწყვეტად. ხმის ნება მიეცემა მხოლოდ იმ პირს, რომელსაც აქვს მამული არა ნაკლებ ასის დღისა ანუ უსახლია ორი კომლი გლეხი და ამასთანავე აქვს ან ჩინი, ან რომელიმე ორდენი, ან დაუსრულებია სწავლა შუათანა ანუ უმაღლეს სასწავლებელში. კეთილშობილთა წინამძღოლების ამორჩევისათვის გარდა მოხსენებულ მოთხოვნილებისა უნდა ჰქონდეს საკუთრებათ ხუთასის დღის მამული, ანუ ესახლოს ოცი კომლი გლეხი.

3) მამულის მფლობელობის საბუთად მიიღება ყოველი კანონიერი ქაღალდები, რომელიც ამტკიცებენ მამულების საკუთრებას (ნასყიდობის წერილი, ვოდნი ლისტი, გაყრილობის განაჩენი, მეჟევოი პლანი და სხვა), უსტაენოი გრამოტები და პირობის წერილები მამულზედ.

გორის მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლი
ი. სულხანიშვილი

(1—1)

---

**ლატარია-ალეგრი „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ დანიშნულია 8 მაისს. ვისაც სურს შემოსწიროს** ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს **ნივთები გაუგზავნოს კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას** (ნიკოლოოზის ქუჩა, საგინოვის სახლი).

---

## ტფილისი, 1 აპრილს

—

თერგის მხარის უფროსმა საყოველთაო ბრძანება მისწერა ამ ქვეყნის ნაწილების უფროსებს ყაბარდოს მკვიდრთა ოსმალეთში გადასახლების გამო. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ „დიდ-ძალი ყაბარდოელნი მთხოვენ ოსმალეთში გადასახლების ნება-რთვასა. ამიტომ გამოუცხადეთ, რომ ოსმალეთში გადასახლებას არავის უშლიან, და არც არავის დაატანენ ძალას—გინდათ თუ არა გადასახლდითო; მთავრობას არა აქვს განზრახვა რაიმე ახალი გადასახადი დაადვას ხალხს, და არც მათ ზნე-ჩვეულებას შეეხება ვინმე, მით უფრო, რომ მთავრობას არავითარი სარგებლობა არა აქვს მათი ზნე-ჩვეულება შესცვალოს.

ვინც ამის წინააღმდეგს ხმას გაავრცელებს, ის უნდა დაასმატიმროთ და პასუხის-გებაში იქნას მიცემული. გადასახლების ნება მიეცემათ მხოლოდ იმათ, ვინც მოისურვებს; ოჯახის თითოეულს წევრს ეკითხება, სურს თუ არა გადასახლება ოსმალეთში და, თუ ვინმემ დარჩენა მოიწადინა, ისინი დატოვებულნი იქნებიან, თუნდაც უმახლობელესნი ნათესავნი ამისი წინააღმდეგნი გახდნენ.

მაგრამ რაკი ერთხელ ვინმე გადასახლდება, ხელ-მეორედ დაბრუნება და დამკვიდრება იმათ აღარ შეეძლებათ“.

ამ გვარი განკარგულება თერგის მხარის უფროსისა, რასაკვირველია, ჩინებულს გავლენას იქონიებს ყაბარდოს ერზედ და შეაკვეცს ფრთებს იმ ჩარჩებისა და ავ-კაცების განზრახვას, რომელთაც უნდათ სხვისი ადგილ-მამული და ქონება ჩალის ფასად ხელში ჩაიგდონ.

ამას გარდა, დაშფრთხალი და შეშინებული კეთილშობილი ჩერქეზის ხალხი, ისევ ამ ვაჟბატონების ჯურის კაცების წყალობით, ამ ხანად გულს დაიმშვიდებს და, თუ რამ მოულოდნელი განსაცდელი არ დაადგა, დარჩება თავის მამა-პაპათა ნაფუძარზე, თავის სამშობლოცის ქვეშ.

მაწანწალა და მხოლოდ ვაჭრობაში გართული კაცი, რასაკვირველია, ვერაოდეს ვერ მისწვდება იმას, თუ რა ძვირფასია ადამიანისათვის თავისი ქვეყანა:

> „სადაც შობილა, გაზრდილა,
> სად უსრულია ისარი,
> სად მამა-პაპა ეგულვის,
> მისი სამშობლოც ის არი!“

ასეთს წმიდასა და მაღალს გრძნობას გაიგებს მხოლოდ ის, ვისაც ღვთაებრივი ნაპერწკალი უღვივის გულში, ვისაც ესმის რა არის ეროვნული ცხოვრება და არა ის, რომელსაც მხოლოდ ნივთიერი მოგება და გაძღომა გაუხდია თაყვანის-საცემელ კერპად.

გარდა ამ მოსაზრებისა, რომელიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ, თერგის მხარის უფროსის განკარგულებას დიდი და საჭირო სახელმწიფო მნიშვნელობაცა აქვს.

მთავრობისაგან დადგენილის მოხელე კაცის მოვალეობა ის არის და უმთავრესი იმისი ზრუნვა იმად უნდა იყოს მიქცეული, რომ თავის ქვეყანას და ხელმწიფეს მეგობრები, კეთილის-მყოფელნი და ერთგულნი მოუპოვოს, შესძინოს. ღირსი არაა ქვეყნის უფროსობისა ის, ვინც რომელისამე ერის მართველად არის დაყენებული და იმას-კი არ სცდილობს, რომ ამ ერსა და მთავრობას შორის კეთილი განწყობილება და სიყვარული ჩამოაგდოს.

რუსეთის მეფეები ყოველთვის განასხვავებდნენ ქვეყნის მართველთა, რომელნიც უყვარდა ხალხს და რომელთაც სამაგიეროდ უყვარდათ იგი ხალხი. ასეთნი იყვნენ ჩვენს მახსოვნობაში: თავადნი ვარანცოვი და ბარიათინსკი. ეს გამოჩენილნი სახელმწიფო კაცნი უხვად იქნენ დაჯილდოვე-

---

# ფელეტონი

—

### ტყიბულის ქვის ნახშირის მადნები

(წერილი ურგებიდამ)

> ვინც სახნავი უკუღმართად,
> მრუდად ჰხნას და სთესოს, ჰფარცხოს,
> ის მე პურსა ნულარ მაჭმევს,
> რაც იმ ფქვილით გამოაცხოს.
>
> დ. გურამიშვილი

თუმცა-ღა ერთ ნახევარ საუკუნეზედ მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენმა პოეტმა სთქვა ზემოხსენებული სიმართლით სავსე ლექსი, მაგრამ ეს ადვილად მისახვედრი ჭეშმარიტება ჩვენში ჯერ კიდევ ბევრს ვერ შეუგნია სამწუხაროდ. ვერ შეუგნიათ, რომ თვით საუკეთესო ნიადაგი, უკუღმართად მოხნული და უკუღმართადვე დათესილი საუკეთესო თესლით, ვერავითარს ნაყოფს აძლევს მთესველს. ვერ შეუგნიათ, რომ საჭიროა და აუცილებლად საჭიროა: სახნავის კარგად მოხვნა, თესლის რიგიანად დათესვა და შემდეგ კარგად დაფარცხვა და გამარგვლა, რათა ნაყოფიც კარგი და მადლიანი გამოიღოს ყანამ.

როგორც ეტყობათ, ვერც ჩვენი განვითარებული „მხვნელ-მთესველები“, ტყიბულის ქვის ნახშირის მემადნეები, დაიკვეხებენ დ. გურამიშვილის მოძღვრების შეგნებას, თორემ რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ აგერ რვა წელზე მეტია, რაც ტყიბულის ქვის ნახშირის მადნებში მუშაობა დაიწყეს და მას აქეთ ვერც ერთმა მემადნემ წელი ვერ გაუმართა დეფიციტების სიმძიმეს, არა თუ ნაყოფი ეგემებინა ამ საქმიდგან. ნეტა რა არის მიზეზი ასეთის უნაყოფობისა? ჩემის ფიქრით, ის გახლავთ, რომ ჩვენმა მემადნეებმა პოეტის სწავლას ზურგი აუქციეს და მოსდგნენ თავიანთებურად მრუდედ ხვნას და მრუდედ თესვა-ფარცხვას.

როგორც მკითხველებმა უწყიან, პირველად აქ ბ-ნმა ნოვოსელსკიმ დაიწყო 1888 წ. თავის მადანში მუშაობა, ბევრი ფულიც დახარჯა მადნის მოსაწყობად, მაგრამ, სამწუხაროდ, მადანი მაინც სრულიად მოუწყობელი და მოუმზადებელი გამოდგა საწარმოებლად. უანგარიშო ფული დახარჯეს მადნის მოსაწყობად და მადნისათვის უსაჭიროესი ბრიკეტის ქარხნის გაკეთება-კი არავის მოსვლია ფიქრად. მოგეხსენებათ აქაური ქვის ნახშირი ანტრაციტივით მაგარი როდი არის, არამედ ადვილად იფშვნება ასე, რომ მღვიმე-მაღაროდგან 40% დაფშვნილი გამოდის და ამ დაფშვნილის შესაკრავად საჭირო იყო მადანში ბრიკეტის ქარხანა, ხოლო ბრიკეტის ქარხნის უქონლობის გამო დაფშვნილს ნახშირს ჰყრიდნენ და წყალს ატანდნენ, რის გამოც ორის წლის მუშაობის შემდეგ იმდენად იზარალეს, რომ იძულებულნი გახდნენ მადანი დაეკეტათ და ყოველი მისი მოწყობილობა, რაც რამდენიმე ასი ათასი მანეთი დაჯდა, სულ ერთიანად დაიღუპა სამის წლის უპატრონოდ მიტოვების გამო (იხ. შარშანდელი „ივერია“ № 143). მხოლოდ შარშან ხელ-ახლად შეუდგნენ ამ მადნის მოწყობას და მუშაობის განგრძობას ჰფიქრობენ. ნეტავი ეხლა მაინც არ მოუვიდოდეთ შეცდომა და ხეირიანად აწარმოებდნენ მადანს.

ბ-ნ ნოვოსელსკის მადნის დაკეტვის შემდეგ, 1890 წ. აქ დაარსდა სამუშაოდ სააქციონერო საზოგადოების ქვის ნახშირის მადანი. ჩვენ სრული იმედი გვქონდა, რომ საზოგადოება მადანს ჯერ საფუძვლიანად მოაწყობდა საწარმოებლად და შემდეგ შეუდგებოდნენ ნახშირის გამოზიდვას და გასაღებას, მაგრამ ჩვენი იმედი არ გამართლდა. მადნის კარგად მოსაწყობად ე. ი. ბრიკეტის ქარხნის ასაშენებლად, კოკსის ფეჩების დასადგმელად და სხ. იმ თავიდგე საჭირო იყო სამასი ათასი მანეთი, ხოლო ამდენის ფულის ერთად გამოღება საზოგადოებას და მათს დამაარსებლებს დიდად ეძნელათ და შეუძლებელად ჩასთვალეს. ჩვენი პატივცემული ნ. ნიკოლაძე ხომ დიდის გულწრფელობით ურჩევდა საზოგადოებას, გაეღოთ ერთად სამასი ათასი მანეთი და იმ ფულით იმ თავითვე რიგიანად მოეწყოთ მადანი საჭირო ქარხნებით. მაგრამ პატივცემულ ნ. ნიკოლაძის კეთილს რჩევას საზოგადოების დამაარსებლებმა გვერდი აუქციეს და ამდენის ფულის ერთად გაღებას ამჯობინეს ცოტ-ცოტა ფულის გაღება და ამით მადნის სამუშაოდ მოწყობა უბრიკეტის ქარხნოდ.

თითქმის ორს წელს ჰხარჯავდნენ დიდის სიფრთხილითა და დაზოგვით ფულს და ამ ხნის განმავლობაში თუმცაღა, როგორც იყო, რკინის გზის შტოც მიიყვანეს მადნებამდე და მადანიც ჰოაწყეს ნახშირის მოსატეხად და გამოსაზიდავად, მაგრამ ამ სიფრთხილესა და ცოტა-ცოტაობაში კაი ძალი ფული გაეპარათ ხელიდგან, ასე რომ თითქმის სამას ათას მანეთს კიდეც გადააჭარბა დანახარჯმა და მადანი ისევ უბრიკეტის ქარხნოდ დარჩა. არ მოელოდენ, თუ ასე ცოტ-ცოტაობით ამდენი ფული დაეხარჯებოდათ, მაგრამ რაკი ერთხელ ჩასტოპეს, მერე თანდათან უფრო შიგ იფლებოდნენ იმ იმედით, რომ ერთად ამოვიგებთ ყველასაო. ან-კი რატომ არა, დიაღაც ამოიგებდნენ დანახარჯს სარგებლით, რომ მადანი მართლა რიგიანად მოეწყოთ საწარმოებლად. მაგრამ მაგარი ის არის, რომ საჭირო ქარხნების ასაშენებლად ერთი გროშიც არ გაუღიათ. მიიყვანეს თუ არა რკინის გზის შტო ტყიბულიდგან მადნებამდე, ნახშირის ტეხა და გაზიდვა დაიწყეს. დაიწყეს, მაგრამ რა სახეირო იყო მერე ასეთი გამოზიდვა ნახშირისა! მღვიმე-მაღაროდგან გამოტანილი ნახშირის 40% გადასაყრელი და წყალ-წასაღები შეიქნა დაფშვნილობისა და ბრიკეტის ქარხნის უქონლობის გამო.

ასე და ამ რიგად ის ნაწილი ნახშირისა, რომელიც აქციონერებს მოგებად უნდა დარჩენოდათ, წყალს მიჰქონდა და ამიტომაც წლის თავზედ მოგების ნაცვლად სამოც ათას მანეთზედ მეტი ვალი დაედოთ. მაშინ-კი დაუჯდათ ჭკუაში ბ-ნ ნ. ნიკოლაძის რჩევა და დიდის სიმწარით იკბინეს თითზედ, მაგრამ გვიან-ღა

ბული იმპერატორის ნიკოლოზის და ალექსანდრესაგან. ეს მაგალითი, რასაკვირველია, ცხადად აჩვენებს ქვეყნის მართველთა, თუ საითკენ უნდა იყოს მიმართული მათი ღონე და მეცადინეობა.

ესევე ითქმის სხვა სფერის მოღვაწეთა შესახებაც. მაგალითად, გავიხსენოთ, როგორის დიდის ხარისხისა და ნდობის ღირსნი შეიქნენ რუსეთის მპყრობელთაგან საქართველოს მწყემსთ-მთავარნი: ისიდორე, იოანნიკე და პალადი, რომელნიც ასე უყვარდა საქართველოს და რომელთაც ვალად არ გაჰქონდათ ეს სიყვარული ერისა.

სამნივე ეს ეგზარხოსნი სატახტო ქალაქების მიტროპოლიტებად იქმნენ გადაყვანილნი. ნუ თუ ესეც არა კმარა საბუთად, რომ ქვეყნის მეგობრობა და სიყვარული უხვად ჯილდოვდება როგორც თვით ერისაგან, აგრეთვე უმაღლესადაც?!.

უკანასკნელად ვისურვებთ თერგის მხარის უფროსის განკარგულებას კეთილი ნაყოფი მოეტანოს; ვისურვებთ დაემკვიდრებინოს ჩერქეზის ერს შორის მშვიდობა, რომელიც ასე საჭიროა ყოველთვის, როგორც განსაგებელთათვის, აგრეთვე მმართველთათვისაც.

მეველე

# ახალი ამბავი

—

*** ჩვენ შემთხვევა გვქონდა წაგვეკითხა ბარონ ნიკოლაის მიერ დაწერილი ფრიად საყურადღებო წიგნაკი, რომელსაც სახელად ეწოდება „Pia desideria“. წიგნაკი შეეხება ფრიად საყურადღებო საგანს ძველის ენების სწავლებისას ჩვენს გიმნაზიებში. წერილის შინაარს და ამასთან ამ საგნის შესახებ გამოთქმულს აზრს ავტორისას ამ ახლო ხანებში გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

*** როგორც შევიტყეთ, ქართულ დრამატიულ სცენის არტისტების ამხანაგობას მხოლოდ ერთი წარმოდგენა-ღა ექმნებათ ამ დიდ-მარხვაში, რომელიც ამ ორიოდე დღეში გაიმართება. შემდეგ ამხანაგობა წარმოდგენების მმრთვას დაიწყებს ნაალდგომევს. ხოლო ზაფხულში ჩვენს არტისტებს განზრახვა აქვთ სამოგზაუროდ წავიდნენ საქართველოს სხვადა-სხვა ადგილსა.

*** ჩვენ ამას წინად ვწერდით ჩვენთა მეეტლეთა ცხენების უვარგისობას. გუშინ-წინ, 29 მარტს, პოლიციის მერვე განყოფილების ბოქაულმა ყველა ამ განყოფილებაში მცხოვრები მეეტლენი შეჰკრიბა რიყის ქუჩაზედ, გაუსინჯა ეტლები და ცხენები და ურჩია, სუფთად შეინახეთ, თორემ აღვიკრძალავთ ბირჟაზედ გამოსვლასაო.

*** მეტეხის საპატიმროში გამართული სტამბა თანდათან წარმატებაში მიდის. აქამდე ამ სტამბაში იბეჭდება მხოლოდ რუსული წიგნები. ეხლა, როგორც შევიტყეთ, საპატიმროთა ზედამხედველს კომიტეტს განუზრახავს ქართული წიგნებიცა ჰბეჭდოს, თუ შეუკვეთს ვინმე.

*** შარაძისა და ამხ. სტამბას მოუვიდა ოზურგეთიდამ ნოტებზე გადაღებული ქორწინების საგალობლები: „მოსვლისა შენისა, ქორწილი წმიდა არს, შენ ხარ ვენახი და განელო სასძლო“.

*** სოფ. თეკლათი (სენაკის მაზ.): წრევანდელი მარტი სწორედ ძაგების ღირსია. დღეში პატარძალივით ათასჯერ იცვლის ფერს. ამის გამო აქეთ გახშირდა სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, მაგ. კისერა, წითელა, ყივანა-ხველა, სურდო და სხვა. საცაა მარტი თავდება და ჯერ-ჯერობით ყანებისათვის ხელი არ გვიხლია.

*** 30 მარტს ვერაზედ აგურის ქარხანაში ფარდული ჩამოინგრა და ქვეშ მოიყოლია პეტრე გაბლიშვილი. გაბლიშვილი მსუბუქად არის დაშავებული.

*** 30 მარტს შეიპყრეს ტფილისის მცხოვრებლები ნიკოლოზ მიკირტუმოვი და ნიკოლოზ ვარდანოვა, რომელთაც ამას წინად ახშარუმოვის მაღაზია გაჰქურდეს.

## დამაკვირდი

—

ჭეშმარიტად, სწორედ რაღაც ღვთიური რამ არის ენა-მეტყველება ადამიანისა და მხოლოდ იმიტომ ვერ ვამჩნევთ იმის დიდს საკვირველებას, რომ ყოველ დღე ვხმარობთ.

ნიომეითერი

**

იმას, რაც ბუნების წინააღმდეგია, სიკეთე არასოდეს არ მოჰყვება.

შილერი

**

თუ გინდა, რომ ყოველივე დაიქვემდებარო, თვით შენ დაექვემდებარე გონებას.

სენეკა

## ნაწყვეტები

—

არა ვარ ყმობას ჩვეული,
ნუ მიცქერი ბატონურად,
ნურც მიბრძანებ წარბ-შეკრული,
თუ გინდა რომ გახლდე ძმურად;
გულ-დიდობით თავს წაიხდენ,
მოგექცევა ყველა მტრულად,
სათნოება უცბად შესცვლის
სიძულილსაც სიყვარულად.

## კორესპონდენცია

—

**ახალ-სენაკი, 29 მარტი.** ჩვენი დაბა ახალ-სენაკი დღითი-დღე სასურველს ზრდასა და წარმატებაში შედის. კვირა არ გავა ისეთი, რომ ორი-სამი მშვენიერი გეგმის ქვის შენობა არ გამოიჭიმოს, დუქანი თუ სახლი. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ახალ-სენაკს მალე აშორდება ის სახელი, რომლითაც დღეს იგი იხსენიება დაბალ და, ნაცვლად ამისა, მოიხვეჭს ქალაქის სახელს. ამაში ეჭვი არ იქნება, თუ მისმა მეთაურებმა მეტი მხნეობა გამოიჩინეს.

ხმა დადის, რომ სენაკიდან უნდა გაიყვანონ რკინის გზა სოხუმამდე და იქიდამ ნოვოროსსიამდეო. თუ ეს ამბავი მართალი გამოდგა, მაშინ ხომ სენაკის ბედს ძაღლიც ვერ დაჰყეფს. მიუხედავად ამისა, სწორედ ერთი უპირველესი ადგილი მაშინ სენაკს ეჭირება. გაცხოველდება ყოველ გვარი ალებ-მიცემობა და სხ. ადგილ მდებარეობაც, ხომ ყოველსავე ამას ხელს უწყობს. სწავლა-განათლებითაც ჩვენი დაბა არ ჩამოუვარდება არც ერთს სამაზრო დაბას. აქ უკვე არსებობს ოთხი სასწავლებელი: ერთი სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი, მეორე სამოქალაქო, საქალებო და სამაგალითო საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი. ამ სასწავლებლების საქმე კარგად მიდის და სწავლის მსურველთა რიცხვიც თანდათან მატულობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სასწავლებლები, მაინც ვერ აკმაყოფილებენ აქაურების სწავლის შეძენის წყურვილს, რის გამოც, ყოველ წლივ სამოცამდე მოსწავლე რჩება უსწავლელად უადგილობისა გამო.

აქვე არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის წუწუნ-ჩივილი, რომელიც ყოველ წოდების დღიური ვარამია და, რომლის გამოც ხალხი დიდს სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი. ეს გახლავთ სიმინდის ფასის დაკლება. მართლაც, თავადი თუ გლეხი, მდიდარი თუ ღარიბი, ყველა სიმინდის მოყვანას მისდევს, რადგანაც ეს უფრო აჯილდოვებს მშრომელს. მაგრამ, საუბედუროდ, დღეს ისე დაცემულია სიმინდის ფასი, რომ ცეცხლი იქნება, თუ იმ ფასად გაიყიდა. ამ გარემოებამ ძალიან შეაფერხა ჩვენს დაბაში ვაჭრობა. უწინ ამ დროს, ე. ი. საალდგომოდ, ისეთი გაცხარებული ვაჭრობა ჰქონდათ მოვაჭრეებს, რომ თითქმის ვერც-კი ასდიოდნენ მუშტარს. დღეს-კი ნაცვლად ამისა, მოვაჭრეები გულ-ხელ-დაკრეფილნი ერთმანერთს შესჩივიან თავიანთ თავგადასავალსა...

წელს ჩვენსკენ მეტად ღონიერი და სასტიკი ზამთარი იყო. ამის გამო ვინ მოსთვლის, რა მოარულმა არ იჩინა თავი. მაგრამ ღვთის იმედით, ზარალი არ მოჰქონია. არც მარტმა გაგვილიმა. დადგა თუ არა, თან მოგვიტანა დიდი ქარები. დღე გამოშვებით თავს არ გვანებებდა თავის გიჟმაჟურის ამინდით. 18 მარტს ისეთი დიდი და მძლავრი ქარი ამოვარდა აღმოსავლეთიდგან, რომ ღვთის რისხვა და ჰექა-ქუხილი ეგონებოდა კაცს, რომელმაც ორი დღე გასტანა. ამ ქარმა გვარიანი ზარალი მისცა როგორც ჩვენ დაბას, აგრეთვე სოფლებსაც...

ტრიფონ კალანდარიშვილი.

—

**სოფ. ბაკურციხე** (სიღნაღის მაზრა), 28 მარტს. ბაკურციხე ისტორიულად შესანიშნავი სოფელია, ქართლის ცხოვრებაში სოფ. ბაკურციხე—ქალაქად იხსენიება. ახლაც არის ისტორიული ნაშთენები—ციხენი მეფე ბაკურის აშენებული. აქედგან მიუღია ამ სოფელს თვისი სახელი—ბაკურის ციხე—ანუ ბაკურ-ციხე. თუმცა მეფე ბაკურის დროს დიდს წარმატებაში ყოფილა.

მაგრამ მაშინდელი ქალაქი ბაკურციხე ახლა დაცემულ სოფლად ითვლება. თუმცა აფთიაქიც გაიმართა, მაზრის ბოქაულიც აქა სცხოვრობს და თავად-აზნაურებიც ბლომად არიან, მაგრამ სხვა სოფლებზედ უწესოება უფრო აქ ხდება.

რაც შეეხება საწყალ გლეხ-კაცობას—ძლიერ შეწუხებულები და სწავლა განათლებას მოკლებულები არიან. ჯერ ერთი მთა და ბარი ამათ არა აქვთ საკუთარი, სულ თავად-აზნაურებისაა. გლეხები, როგორც თავადების ნაყმევები, უბილეთოდ ვერც მთაში შევლენ და ვერც ბარში. ანკი რაღა მთა-ღა აქვთ? მთელი ცივგომბორის ტოტი გატიტვლებულია. უწინ თუ კარგი ტყე იყო, სახლის მასალას მოსჭრიდა კაცი, ახლა ისე გაკაფულია ამოდენა მთა, რომ ზო-

---

იყო და ხომ მოგეხსენებათ: „წამხდარს საქმესა რას არგებს მერმეღა თითზედ კბენანი“-ო, ნათქვამია. მეორე წელსაც პირველ წლის წესრიგზე განაგრძეს მუშაობა მადანში, ვითომდა საქმის საშველად ხარჯის შემცირება განიზრახეს და ამ აზრით საუკეთესო მთა-მადნის ინჟენერს ბ-ნ პ. გორლოვს, რომელმაც სამაგალითოდ მოაწყო სამუშაოდ აქციონერების მადანი (იხ. „ივერია“ 1891 წ. № 236), უარი უყვეს წინანდელ ჯამაგირზე და თვეში 500 მანეთის მაგიერ 200 მანეთი შეაძლიეს, რაზედაც, რასაკვირველია, გორლოვი არ დათანხმდა და თავი დაანება აქ სამსახურს.

გორლოვის წასვლის შემდეგ საზოგადოების დამაარსებლებმა მადნის მმართველობა ჩააბარეს, როგორც ჰსურდათ, იაფ ფასიან კაცს, ჯერ სრულიად გამოუცდელს მთა-მადნის საქმეში. ამ გამოუცდელმა კაცმაც თავის გამოუცდელობით საზოგადოების ისედაც დაზარალებულს საქმეს მდუღარე გადაასხა და უფრო დააზარალა (იხ. „ივერია“ № 122—1893 წ.), რის გამოც ვალის, დანაკლისს ერთი იმდენი კიდევ მიემატა და მას შემდეგ ხომ უფრო მწარედ იკბინეს თითზედ. საქმის საშველად მოიწვიეს გამოცდილი ინჟენერი ბ-ნი ა. ბეგზადოვი და იმას ჩააბარეს მადნის მმართველობა. ბ-ნი ბეგზადოვი მართლა რომ კარგი და გამოცდილი ინჟენერია და მადნის საქმე ჯერ-ჯერობით ჩინებულად მიჰყავს. ამ კაცმა მოსვლისთანავე ყოველი ზომა მიიღო მადანში ცეცხლის გასაქრობად და იმის გაძლიერებას, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გზა შეუკრა, გადანარჩენ ადგილებიდგან ამ ზამთარში ყოველ დღე რვა ათასი ფუთი ნახშირი გამოჰქონდა და ეგზავნებოდა ამიერ-კავკასიის რკინის გზას და კერძო მყიდველებსაც. მეტი მოთხოვნილება რომ ყოფილიყო, ერთ ამდენს კიდევ გამოიტანდა, მაგრამ მოთხოვნილება მეტი არ იყო, იმიტომ რომ ჯერ ტყიბულის ნახშირს კიდევ ბევრი არ იცნობს.

აქციონერების ქვის ნახშირის მადანი ერთი უმდიდრესი და უდიდესი მადანია აქ. მცოდნე ინჟენერების გამოანგარიშებით, ამ მადნიდგან რომ ყოველ წელს ოცი მილიონი ფუთი ნახშირი გაზიდონ, ათას წელს კიდევ არ გამოილევაო. ის ნაწილი მადნისა, რომელსაც გაუფრთხილებლობით შარშან ცეცხლი გაუჩნდა, ერთი მეასედს ნაწილს ძლივს შეადგენს ამ მდიდარ მადნისას და, მაშასადამე, ის ზარალი ვერაფრად შეაშინებს აქციონერებს, მხოლოდ სამწუხარო ის არის, რისთვის უნდა დაიღუპოს თუნდ სულ მცირეოდენი ხალხის სიმდიდრე უცოდინარობით. ამ ზამთარში აქედგან კარგად გაიგზავნა ნახშირი, ასე რომ ამდენი ნახშირი არც ერთ წელს არ გაგზავნილა, თუმცა-ღა წარსულს წლებში არც ცეცხლი უშლიდა მადანში ნახშირის ტეხვას და არც არაფერი. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ რაც ამ მადნიდგან ნახშირი გამოვიდა, იმის 40% წყალმა წაიღო ბრიკეტის ქარხნის უქონლობის გამო. ამიტომ ეჭვი არ არის საზოგადოება დეფიციტს ვერც წელს ასცდება და ვგონებთ ვერც ვერასოდეს, ვიდრე ბრიკეტის და კოკსის ქარხნებს არ გააკეთებენ. სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ, მადანში მუშაობის დაწყების აქეთ ორი მილიონი ფუთი წვრილი ნახშირი მაინც წაიღო წყალმა. ეს ორი მილიონი ფუთი ნახშირი, სულ რომ მცირედ ფასად ჩავაგდოთ, სამოცი ათასი მანეთი მაინც ჰღირდა. ამ ფულით ვგონებთ ბრიკეტის ქარხანას-კი გააკეთებდნენ. ნუ თუ ეხლა მაინც ვერ შეიგნებენ, რომ ბრიკეტის ქარხანა უსაჭიროესია აქაურის ქვის ნახშირისათვის.

როგორც აქციონერების მადანი ვერ ისულდგმულებს და ვერავითარს სარგებელს მოიტანს უბრიკეტის ქარხნოდ, აგრედვე ვერც ბ-ნ ნოვოსელსკის მადანი. ბ-ნ ნოვოსელსკის მადნის საწარმოებლად ხაზინას სამასი ათასი მანეთი აქვს გადადებული და, როგორც ამბობენ, წელს ამ მადანში ბრიკეტის ქარხანასაცააგებენო. ეჭვი არ არის, ბ-ნ ნოვოსელსკის მადანს, ხაზინა აწარმოებს თუ თვით ბ-ნი ნოვოსელსკი, მას შემდეგ ამიერ-კავკასიის რკინის გზა საჭირო ნახშირს ამ მადნიდან ჰხარჯავს. ეს ვგონებთ აქციონერებსაც კარგად ესმით და ამიტომ ესენიც, როგორც ამბობენ, ფულს ჰშოულობენ და ჰსურთ თავიანთი მადანი რიგიანად მოაწყონ და აწარმოონო. ღმერთმა ინებოს და ორისავე მადნის საქმე წაღმა წასულიყოს. მაგრამ, ჩვენის ფიქრით, უფრო უმჯობესი იქნებოდა და უფრო წაღმა წავიდოდა ორივე მადნის საქმე, ესენი ერთად რომ შეერთდებოდნენ და შეერთებულის ძალ-ღონით იმოქმედებდნენ და აწარმოებდნენ ამ შავის ალმასით გამოულეველს მადნებს. ამათ მესამე მადანი, კლეინისაც, შემოუერთდებოდა და შემდეგ ნახავდით, თუ როგორ კარგად დატრიალდებოდა აქ ჩარხი და რა სარგებელს იგემებდნენ მემადნეები და აგრეთვე მთელი ამ კუთხის მცხოვრებლები სამუშაოს შოვნით.

შეიძლება რამემ დააბრკოლოს და მადნების შეერთება არ მოხდეს, მაშინ აქციონერთა საზოგადოებას უფრო მეტი მხნეობა და გარჯა ჰმართებს, რათა ცილობა გაუწიოს თავის მეზობელ მემადნეს. და ეს ხომ ადვილად შეუძლიანთ აქციონერებს, რადგან თვით კურთხეულ ბუნებას ისე კარგად მოუწყვია მათი ქვის ნახშირის მადანი, რომ ბევრად უფრო იაფად დაუჯდებათ ნახშირის მოტეხა და გამოზიდვა, ვიდრე ბ-ნ ნოვოსელსკის. თუ ბ-ნ ნოვოსელსკის ექვს კაპეიკად დაუჯდა ფუთ ნახშირის მოტეხა და რკინის გზის ვაგონებში ჩაყრა, აქციონერებს ხუთ კაპეიკად დაუჯდებათ და ამიტომ ეს უკანასკნელნი სულაც არ უნდა დაღონდნენ, თუ ამიერ კავკასიის რკინის გზა, ნოვოსელსკის მადნიდგან დაიწყებს ნახშირის ხარჯვას. ნახშირი იყოს, თორემ ქვეყანა დიდია და გასავალიც დიდი ექნება. აქ თუ არა, საზღვარ-გარედ გაიკვლევს გზას. მხოლოდ მადანს კარგად და საფუძვლიანად უნდა მოწყობა ბრიკეტის და კოკსის ქარხნებით, რის შემდეგ მისი წარმოებაც სახეირო იქმნება.

ვ. მახულია

გან რიგიან სახრესაც ვერ მოსჭრის კაცი. მოდი და გოლვა ნუ დადგება ზაფხულობით შიდა კახეთში! მოდი და გუთანს ნუ აბანებენ წყალში, დიდებაზედ ნუ წავლენ დედაკაცები და ბევრს სხვა-და-სხვა ცრუმორწმუნოებას ნუ შეასრულებენ, რომ ღმერთმა ნამი გამოუგზავნოს და გაავრილოს ქვეყნიერება!!..

სწავლის მხრივ ბაკურ-ციხის გლეხები, ძლიერ დაცემულები არიან. აქაურ გლეხებში ძლიერ იშვიათია მოწიგნე კაცი. ან კი საიდგან როგორ ისწავლის ბაკურ-ციხის გლეხობა წერა-კითხვას, როდესაც სასწავლებელი არა აქვთ? ეს რვა წელიწადია სახელით არსებობს ბაკურციხის წასწავლებელი და თვალით-კი ვერავის უნახავს. თუმცა ერთი ათიოდე ყმაწვილი შეუკრებია ადგილობრივ მღვდელს, მაგრამ ამას განა სკოლას უწოდებთ?! რა ქნას მარტო მღვდელმა, სად სცალიან სკოლასაც მოუაროს და მრევლსაც. თუმცა ამ რამდენიმე წლის წინად დიდი ლაპარაკი იყო ბაკურციხეში სკოლის დაარსების გამო, მაგრამ ისევ მალე მიწყნარდა. განსვენებულმა ბლაღოჩინმა მ. იოსებ ხარიტონაშვილმა შეადგენინა სკოლის სასარგებლოდ ოც-და-ათის თუმნის განაჩენი. მასწავლებელიც საკუთარი მოიყვანეს, მაგრამ მალე ჩაიშალა საქმე. მასწავლებელი მღვდლად ეკურთხა, სოფელმა აღარ გაიღო ხარჯი და ეხლანდელი სოფლის ბლაღოჩინის ბრძანებით ისევ მღვდელ-დიაკვანს დააკისრეს სკოლის წარმოება.

თ. მეთვალყურე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ბ-ნი თ. ჟორდანია სწერს «Нов. Обоз.»-ეში: როგორცა სჩანს წინანდელის დ ახლანდელის ინსპექტორების ყიფიანისა და ჭიჭინაძის წერილებიდან არავითარი ხელნაწერი კრებული პლატონ იოსელიანისა სააზნაურო სკოლის წიგნთსაცავში არა ყოფილაო; ხსენებულ ხელნაწერი ჰქონდა განსვენებულს დ. ბაქრაძეს წინად იმისა, სანამდის პლ. იოსელიანის მემკვიდრე შესწირავდა ბიძა მისის ბიბლიოთეკას სათავად-აზნაურო სკოლასაო.

შემდეგ ბ-ნი ჟორდანია ამბობს, რომ ხსენებული საისტორიო მასალათა კრებული დ. ბაქრაძეს ჰქონდა 14 წლის განმავლობაში და კიდეც სარგებლობდა თავის თხზულებების წერის დროს. ამ კრებულში გარდა პლ. იოსელიანისა სხვათა და სხვათა ხელით ნაწერი მრავალი იყო და დ. ბაქრაძე ამ კრებულს თავისად სთვლიდაო.

„რაკი კრებული სრული საკუთრება იყო განსვენებულის არხეოლოგისა, მან ამოჰხია იქიდან ის ნაწილი, რომელიც თავისთვის უფრო საჭიროდ მიაჩნდა და თითონ დაიტოვა, ხოლო დანარჩენი, ჩემის თხოვნით, მე მაჩუქა“.

„რაიცა შეეხება ყარანგოზოვის თქმას, რომ ვითომ ახლა, როგორც ამბობენ, (მე მგულისხმობს) ჰბეჭდავდეს იმ ხელნაწერებს და ითვისებდეს მათს ავტორობასაო, უნდა ვსთქვა, რომ როგორც დამიტრი, ისე მე, ყოველთვის ვიხსენიებდით პლ. იოსელიანს, როცა-კი იმის თხზულებიდან და ხელნაწერიდგან ვიღებდით რასმე. ამასთანავე საჭიროდ მიმაჩნია ვსთქვა, ჩემის უკანასკნელის ნაშრომის ტექსტში ზემოხსენებულ კრებულიდგან დაბეჭდილია სხვა-და-სხვა ადგილს არა უმეტეს ერთის გვერდისა (იხ. „ქრონიკები“, გვ. 58, 64, 81, 163) და ყოველთვის მოხსენებულია წყარო, საიდანაც ამოღებულია, და ნაჩვენებია გვერდი კრებულისა“.

დასასრულ ბ-ნი ჟორდანია აუწყებს საზოგადოებას, რომ შემდეგ თავის ქრონიკების დაბეჭდვისა, იმის მტრების რიცხვი გამრავლებულა.

ამას გარდა „ქრონიკების“ ავტორს, როგორცა სწერს თითონ, ჯერ ვერ მიუგნია ვინ არის უშანგ ყარანგოზიშვილი.

**

თავ. მეშჩერსკი სჩივის თავისს „Гражданинъ“-ში, რომ ჩვენი მღვდლები გულ-გრილად ეკიდებიან ქადაგების საქმესაო. მაშინ როდესაც კათოლიკეთა სამწყმსოს უფროსნი დიდს ყურადღებას აქცევენ ამ საგანს, მართლმადიდებელი მღვდლები ბაირურშიაც არ აგდებენო.

ამასობაში-კიო, სამართლიანად ამბობს იგი: აბა შეჰხედეთ იმ დიდძალს ხალხს, რომელიც ეკკლესიაში თავ-მოყრილა, იმ დიდ-ძალ უძლურთა, რომელნიც იყრიბებიან ყაზნის ღვთისმშობლის ტაძარში, მ. იოანნეს ეკკლესიაში და სხ., და აშკარად დარწმუნდებით, რა ძლიერ საჭიროა ეკკლესია, ეს ხალხის დამხმარებელ-მანუგეშებელი! არ გვესმის, ეს ათასის სულით გავსებული ეკკლესია როგორ არ ზე-შთააგონებს მღვდლებს და არ აფიქრებინებს, რომ ამბიონიდგან ცხოველი, სულის აღმძვრელი სიტყვა გაიგონონ ღვთის სახლში სალოცავად და სავედრებელად მისულთ. მღვდლებისათვის თითქოს სულ ერთი იყოსო, სავსეა ეკკლესია ხალხით, თუ ცარიელი. მარხვაში, პირველსა, მეოთხესა და მეშვიდე კვირას, როდესაც მაზიარებელთა რიცხვი დიდია, მღვდლები არხეინად ასრულებენ ძველის-ძველ დაკანონებულ წესისამებრ თავისს მოვალეობას, თითოეულს საჩქაროდ ათქმევინებენ აღსარებას და ხშირად დროსაც არ აძლევენ მაზიარებელთ აღმოსთქვან თავისის გულის ნადები. არ უნდათ გაიგონ, რომ ამ დროს ორიოდე ცხოველი სიტყვა ასსა და ათასს კაცს გულს აუჩქარებს, სულით აალელვებს და იქნება ამ სიტყვამ კვალიც დააჩნიოს მთელს იმის სიცოცხლეს, მთელს იმის ცხოვრებას.

ყოველივე ეს, განსაკუთრებით ჩვენთა სულიერ მამათა მიმართ, არა ერთხელ გვითქვამს, „არ-ახალია—ძველია“, მაგრამ რა გამოვიდა, თუ ეს ნათქვამი დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

## რუსეთი

სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს ღონისძიებანი იხმაროს აბრეშუმის წარმოების მრეწველობის გასაუმჯობესებლად შუა და სამხრეთს რუსეთში. ამ აზრით ამ ახლო ხანებში მოწვეული იქმნება განსაკუთრებული საბჭო სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ა. ს. ერმოლოვის თავმჯდომარეობით.

—

გზათა უწყების სამინისტროსთან, მინისტრის კანცელარიის ვიცე დირექტორის ა. დ. არბუზოვის თავმჯდომარეობით, შედგენილია კომისია, რომელსაც დავალებული აქვს შეიმუშავოს ის, თუ როგორ უნდა გაეწიოს მეთვალყურეობა რკინის გზების საპენსიო კასსებს და რა გვარად გახდნენ მონაწილენი ამ კასსებისა რკინის გზის მომუშავენი.

—

ხმა დადის, რომ მთავრობის მიერ შეწყნარებული იქნება შუამდგომლობა საურთიერთო კრედიტის ზოგიერთის საზოგადოებისა, რომ მოსპობილ იქმნას რწმუნებითა და მინდობილებით ამ საზოგადოებათა არჩევანში მონაწილეობის მიღება, რადგან ამ რწმუნებას ბოროტადა ჰხმარობენ ბევრნი, რაც არა ერთხელ არის შემჩნეული.

—

საერო განათლების ცნობებით, დედათა გიმნაზიების მოსწავლეთა საერთო რიცხვის მეათედს ნაწილს ებრაელნი მოსწავლენი შეადგენენ. ეს რიცხვი განაწილებით რომ აღინიშნოს, გამოვა, რომ კიევის სამოსწავლო ოლქში ას ქალ მოსწავლეზედ 11 ებრაელი მოდის, ვარშავისაში—15, ოდესისაში—40-ზედ მეტი. კერძოდ-კი არის ისეთი დედათა გიმნაზიებიც, რომლებშიაც მოსწავლეთა საერთო ნაწილის ნახევარი ებრაელობაა. უკვე შემჩნეულია გიმნაზიის მთავრობათაგან თურმე, რომ ებრაელ მოსწავლე ქალებს ცუდი გავლენა აქვთ სხვა მოსწავლეებზედ როგორც სწავლისა, ისე სარწმუნოებრივ-ზნეობრივ აღზრდის მხრივ. ამიტომ საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს შესაბამი ღონისძიება იღონოს დედათა გიმნაზიებში ებრაელ მოსწავლეთა შესამცირებლად.

—

ნიჟეგოროდის გუბერნიის სემიონოვსკის მაზრის სოფ. ხასვოჩიხის მრევლს უჩივლია არქიელთან, რომ ჩვენი მღვდელი დიდად უზნეოდ იქცევა, და ამას მხოლოდ იმითი ამტკიცებენ, რომ მღვდლის ცოლს შვილი ეყოლა 1893 წლის 23 დეკემბერს და, მაშასადამე, დაორსულებულა ვნების კვირის ხუთშაბათს, ხარებობა დღესაო. ამ საჩივარზე ზემოხსენებულ სოფლის მღვდელმა არქიელს ექიმის მოწმობა წარუდგინა თურმე და ამტკიცებს: როგორც საბებიო კალენდარიდგანა სჩანს, უფრო სარწმუნოა, რომ ჩემი ცოლი დაორსულებულიყოს 25-ს-კი არა, არამედ 16, 17, ან 18 მარტს, ესე იგი ვნების კვირას კი არა, ბზობის კვირასაო.

## უცხოეთი

**ავსტრი-უნგრეთი.** მოგვყავს კიდევ რამდენიმე ამბავი კოშუტის დასაფლავების შესახებ. გაზეთების სიტყვით, კოშუტის დასაფლავებაზედ დამსწრე ხალხი 300,000-მდე სული იქნებოდაო: აი ზოგიერთი ადგილები მწერალის იოკაის სიტყვიდგან, რომელიც მან კოშუტის დასაფლავებაზედ წარმოსთქვა და რომელიც გუშინ ჩვენ გაკვრით მოვიხსენიეთ:

„გემმა თავისის თანამგზავრითურთ მოაწია ნაპირს. სამშობლოში დაბრუნებულის თანამედროვენი მიეგებებიან გმირს. მაგრამ იმათ მხარში უდგა ახალი თაობაც, რომელიც ეს არის ეხლა ჰყვავის და ძველს უდრის სამშობლოს სიყვარულის მხრივ, ხოლო ძველს თაობაზედ ძლიერი-კია ძალ-ღონითა და ცოდნით. ნეტა ჰხედავს ამ განახლებულს ქვეყანას? ჩვენ, რომელთა გვწამს უკვდავება სულისა, გვწამს ისიც, რომ კოშუტის ნაშთთან ერთად ჩვენთან უნგრეთში დაბრუნდა იმისი სულიც. სალამი შენ, სამშობლოში დაბრუნებულო მწირო! შენ არა თუ ჰხედავ ამ ზღვას ხალხისას, შენის სამარის წინაშე დამდგარს, არამედ შენთვის ცხადია ამათი გულის საიდუმლოც. უნგრეთის ერის გულში კითხულობ აღმოუხოცველ მადლობას იმ დიდებულის კაცის მიმართ, რომელმაც დაამსხვრია უნგრეთის გლეხთა მონობის ბორკილი; რომელმაც აღიარა ერთ გვარი ადამიანური უფლება წმ. სტეფანეს მიწა-წყლის ყველა მცხოვრებისა, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად; რომელმაც მთელის სახელმწიფოს შენახვის ტვირთი ჩამოჰხადა უბედურს ხალხს და თანასწორად და თანაბარად დააკისრა იგი ყველას. მან უნგართა მილიონებით უნგრეთის ერი შეჰქმნა და ჩასდგა მტკიცე საძირკველი აწინდელის უნგრეთისა. უნგრეთი იმისი მადლობელი უნდა იყოს, რომ თავისუფალი აზრი თავისუფალს სიტყვასა ჰპოულობს სეიმსა და ჟურნალ-გაზეთებში. მისის თაოსნობის წყალობით, თავისუფალი აზრი, რომლის მეტყველიც იყო იგი, ამ ჟამად გამეფებულია ჩვენის ქვეყნის ყოველს კუთხეში. შენი დაბრუნება, მწირო, დღესასწაული და გამარჯვებაა მშვიდობისა და მორიგებისა. ერთი შენი ნახვა საკმარისია, რომ დაამშვიდოს თვით აღელვებული ზღვაც-კი. ნუ ჰღელავ, ზღვავ, კოშუტსა სძინავს,—და აგერ ზღვაც დამშვიდდა. ნუ წაიჩხუბებით, ძმანო, კოშუტს გული სტკივა მაგისთანა ამბის ნახვით, და აგერ ბრძოლა და უთანხმოება შესწყდა კიდეც.

—

პრაგის გერმანელებს განზრახვა ჰქონდათ ხელ-მოწერით შეეკრიბათ ფული, მოემზადებინათ შავი ფარგელი ფიცრები ქუჩის სახელების წარწერითურთ გერმანულს ენაზედ და მიეკრათ იქავე, სადაც აკრავს ასეთი ფიცრები პრაგის ქალაქის გამგეობისა, რომლებსაც მხოლოდ ჩეხური წარწერა აქვს. საბედნიეროდ, ეს განზრახვა არ განახორციელეს, თორემ ჩეხებსა და გერმანელებს შორის დიდი შეტაკება და უთანხმოება ჩამოვარდებოდა.

—

**სერბია.** მეფე მილანი და დედოფალი ნატალია მიდიან ნიშის სამეფო სასახლეში, სადაც დიდხანს დარჩებიან.

## გასართობი

პარიზში ერთი ქალი დიდად შეეხვეწა გრაფ რასტოპჩინს, თქვენი ბიოგრაფია დამიწერეთო. მეორე დღეს გრაფი მივიდა ამ ქალთან და თან პატარა რვეული მიიტანა:

— მგონი რაღაცა მოიტანეთ წასაკითხავი? ჰკითხა ქალმა.

— თქვენა სურვილი აღვასრულე, ჩემო ბატონოვო, უპასუხა გრაფმა და გადაშალა წასაკითხად რვეული. რვეულს სათაურად ეწერა: „გრაფ რასტოპჩინის ცხოვრება, ათის წამის განმავლობაში შედგენილი“.

**თავი I**

**ჩემი დაბადება.**

მარტის 12-სა დღესა 1765 წლისას მე არარაობის წყვდიადიდგან ვიხილე სინათლე დღისა. დავიბადე, არ ვიცი-კი რად; ჩემი მშობლები დიდად ჰხარობდნენ, თითონაც არ იცოდნენ რად.

**თავი II**

**ჩემი აღზრდა.**

ყოველი სიბრძნე და ყოველი ენა შემასწავლეს, ლინგვისტი შევიქენი და ჩემის ურცხვობითა და მოურიდებლობით ისე გავაოცე ყველანი, რომ პატივსა მცემდნენ ვითარცა მეცნიერს და მოწიწებით მიხდიდნენ ქუდს. ჩემი თავი არეულ-დარეული წიგნთ-საცავი იყო, რომელშიაც ყველას თავი დაებნეოდა და რომლის გასაღები მარტო მე მქონდა.

**თავი III**

**ჩემი ტანჯვა.**

ჯერ მასწავლებლები და აღმზრდელები მტანჯავდნენ, შემდეგ ტანისამოსი, ქალები, პატივ—მოყვარეობა, თავ-მოყვარეობა. ამაო სინანული, იმედი და წარსულის ხსოვნა.

**თავი IV**

**ნაკლებულობა**

სამი რამ დამაკლდა, სამი რამ ვერ ვიგემე ცხოვრებაში: ქურდობა, გაიძვერაობა და თავ-მოწონება.

**თავი V**

**შესანიშნავნი ხანანი ჩემის ცხოვრებისა.**

30 წლისამ ცეკვას თავი დავანებე; 40 წლისამ ულვაშის გრეხას ქალის დანახვაზედ; 50 წლისა ყურს აღარ უგდებდი საზოგადოების მიერ ჩემ შესახებ წარმოთქმულს აზრს; 60 წლისამ თავი დავანებე აზროვნობას და ამით შევიქმენი სრული ბრძენი, ანუ, რაც ერთი და იგივეა, სრული ეგოისტი.

**თავი VI**

**ჩემი ზნეობრივი სურათი.**

ჯიქი ვიყავი კერპსავით, ჟინიანი კეკლუცსავით, მხიარული ბავშვსავით, ზარმაცი ვირთაგვასავით, მხნე ბონაპარტსავით, როდესაც როგორ მესიამოვნებოდა.

**თავი VII**

**ჩემნი ნაკლულევანებანი.**

ჩემს სახეს ჩემის სურვილისამებრ ვერ გავამხნევებდი. ენის დაჭერა არ ვიცოდი და მასთან ერთი საძაგელი ჩვეულება მქონდა: ხმა-მაღლა ვიცოდი ფიქრი. ამის წყალობით ათამდე მეგობარი ვიშოვე და ასამდე მტერი.

**თავი VIII**

**რა ვიყავ და რა შეიძლება ვყოფილიყავ.**

ძალიან გულ-დანდობილი, მეგობრობის გამტანი და გულ-კეთილი ვიყავ; ოქროს საუკუნეებში რომ დავბადებულიყავ, იქნება კარგისა და რიგიანის კაცის სახელი მომეხვეჭა.

**თავი IX**

**კეთილი წესები.**

არასოდეს არც ჩემისა და არც სხვის გამო არ გავრეულვარ ქორწილის საქმეში და ჭორსა და მითქმა-მოთქმაში; არასოდეს და არავისათვის არ მიქია ექიმი და მზარეული: მაშასადამე, ჩემის მოყვასის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის არავითარი ზიანი არ მიმიყენებია.

**თავი X**

**რა მიყვარდა.**

მიყვარდა პაწია საზოგადოება, დაახლოვებული წრე და ხეივნარში სეირნობა. მზის სინათლეს თითქმის ვეთაყვანებოდი; თითქმის გული შემიწუხდებოდა ხოლმე, მზეს რომ დავინახავდი ჩასულს. მიყვარდა ყოველივე ცის-ფერი, ხორცი მდოგვით, სასმელად წყალი, წარმოდგენათა შორის—კომედია და ვოდევილი. კაცისა და ქალისა ღია და ნათელი სახე მომწონდა. განსაკუთრებით და გატაცებით-კი ყოველთვის კუზიანი მიყვარდა, კაციცა და ქალიც.

**თავი XI**

**რა მძულდა.**

პრანჭა-გრეხია და სულელი ყმაწვილ-კაცები ყოველთვისა მძულდა. მეჯავრებოდა ღვთის მოსავი ქალები, რომელთაც პირზედ ლოცვა აკერიათ და გულში-კი არშიყობა აქვთ გამეფებული. მებრალებოდა ფერუმარილ შეთხუპნული კაცები და ქალები. თაგვი, არაყი, მეტაფიზიკა, მწვანე გველი, საჩივარი და შინაური მწერლები ყოველთვის მძაგდა.

**თავი XII**

**რა იყო ჩემი ცხოვრება.**

სიკვდილს მოთმინებით, უშიშრად მოველი. ჩემი ცხოვრება ცუდი მელოდრამა იყო, ხოროთი, ცეკვა-თამაშობით შემკული. ამ მელოდრამაში ვთამაშობდი როლს გმირისას, მტარვალისა, არშიყისა, კეთილშობილისას, მაგრამ ლაქიის როლი-კი არასოდეს არ მითამაშნია.

**თავი XIII**

**წყალობა ღვთისა.**

ბედნიერი და დიდად ბედნიერიც ვიყავ იმ

მხრივ, რომ სრულიად დამოუკიდებელი ვარ იმ სამის კაცისაგან, რომელთაგანაც ეხლა ევროპა აღტაცებაშია მოსული: საკმაოდა მაქვს შეძლება, პოლიტიკა მე არ შემეხება, მუსიკა არც იმდენად მიმაჩნია რადმე; მაშასადამე, არავითარი დამოკიდებულება არა მაქვს როტშილდსა, მეტტერნიხსა და როსსინთან (ეს სიტყვები დაწერილია მეოცე წლებში).

### თავი XIV

**ჩემს საფლავის წარწერა.**

დაჩლუნგებულის სულით, დაგლეჯილის გულითა და დაძველებულის სხეულით აქ მივწექ მოსასვენებლად ბებერი ტარტაროზი. პატივცემულო მნახველო! გასწი შენს გზაზედ და ნუ შემირყევ მოსვენებას.

**საზოგადოების მიმართ**

პატივცემულო საზოგადოებავ! მოშლილო და ხმა-შეუწყობელო საკრავო ვნებათა ღელვისავ! ცაზედ მაღალო, მიწაზედ მდაბალო, ბრმად მაქებელო და ბრმადვე მძაგებელო! დამტვრეულო განგაშო, წვენო სამსალისა და ტკბილ სურნელოვანებისაო! წარმომადგენელო ადამიანობის უწმინდურებისაო! აჯილდავ მოწყალების დის სახით, კეთილშობილო საზოგადოებაო! შენი მეშინოდა სიჭაბუკისას, პატივსა გცემდი ვაჟკაცობისას, მეზიზღებოდა მოხუცებისას! შენ მოგიძღვნი ამ ჩემს წერილს, სათაყვანო საზოგადოებაო! ძლივს მოვრჩი შენს გავლენას, ვინაიდგან მკვდარი ვარ და, მაშასადამე, ყრუ, მუნჯი და უსინათლო. კაცობრიობის საბედნიეროდ შენთვისაც ესევე მსურს.

შენი სათამაშო და შენი მესტვირე

რასტოპჩინი

## გამოსადეგი ცნობა

როგორ უნდა მოშორდეს სალებავ წამლის სუნი ლითონის ჭურჭელს. როდესაც ლითონის ალთაფასა, ან სხვა რამე ჭურჭელს ჰღებენ, სალებავის წამლის სუნი ძალიან დიდხანს რჩება, მეტადრე მაშინ როცა სალებავი ცუდია. ამ სუნის მოსაშორებლად ახლად შეღებილ ჭურჭელში უნდა ჩასდოთ თივა (თივა უთუოდ სუფთა და ახალი უნდა იყოს), აავსოთ წყლით და დასტოვოთ ასე ერთს დღესა და ღამეს. შემდეგ თივაცა და წყალიც გამოსცვალოთ და კიდევ ერთი დღე და ღამე იდგეს ასე. ეს სრულიად საკმარისია, რომ ჭურჭელს სალებავის წამლის სუნი სრულიად მოჰშორდეს.

# დეპეშა

30 მარტი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭო ამ ხანებში განიხილავს წარდგენილებას ფინანსთა სამინისტროსას იმის შესახებ, რომ ნელ-ნელა შემცირებულ იქმნას პრემია საზღვარ-გარედ გატანილის სპირტისა, შეიცვალოს წესები სპირტის გატანისა და მისის კეთებისა და ღონისძიებანი იქმნას ხმარებული საზღვარ-გარედ სპირტის გატანის წასაქეზებლად.

**ფლორენცია.** იტალიის მეფე და დედოფალი ინგლისის დედოფლის სანახავად იყვნენ.

**ვენა.** საიდუმლო თანხათა მუხლის განხილვის დროს გრეგრმა ძლიერი სიტყვა წარმოსთქვა სამინისტროსა და პოლონელთა კლუბის წინააღმდეგ და განაცხადა, პოლონელები მხოლოდ იმიტომ არიან პარლამენტში, რომ გემრიელისა და მსუქანის ლუკმით ისარგებლონო; ასეთის საქციელით ისინი, დედა-აზრის მხრივ, დიდად უპატიოსნოდ იქცევიან, მაგრამ თავისდასასარგებლოდ კი. როდესაც დაიწყეს განხილვა იმ ხარჯისა, რომელიც გადადებული უნდა იყოს სასახლისათვის, ახალ-ჩეხები ბრესნოვსკი და ვაშატი თხოულობდნენ, რომ იმპერატორმა დაიდგას ბოგემიის გვირგვინი, ამ გვირგვინით მეფედ ეკურთხოს და ყოველ წელიწადს რაოდენსამე ხანს პრაგაში იმყოფებოდეს, თორემ მანამ ეს არ იქნება, ჩვენ უარ-ვყოფთ მაგ ხარჯს, სასახლისათვის გადასადებსაო. გერმანელ-ლიბერალურ დასის წევრთ მიჰმართეს ჩეხებს და დაიწყეს ყვირილი: „გადით აქედგანაო!“ ჩეხებმა უპასუხეს: „ჩვენ იქნება წავიდეთ, მაგრამ ჩვენს შემდეგ ისეთები მოვლენ, რომლებიც რესპუბლიკას მოითხოვენო“.

31 მარტი

**პეტერბურგი.** დღეს დიდის ამბით დაიწყო მოქმედება სასოფლო მეურნეობის სამინისტრომ ადმინისტრაციის უმაღლეს წევრთა თანადასწრებით. მინისტრმა ერმოლოვი განმარტა მნიშვნელობა სამინისტროსი და მოლოდინი, რომ იგი ხელს წარუმართავს სასოფლო მრეწველების წარმატებასაო. დანიშნულ იქმნენ: სახელმწიფო სამიწად-მოქმედო ქონებათა დეპარტამენტის დირექტორად ტიხეევი, ვიცე-დირექტორად—რემიდოვსკი.

პეტერბურგის ბირჟა, 29 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,43 | 7,47 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 148 1/2 | 149 1/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | 243 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | 221 | — ,, | — ,, |
| 4% მესამე სესხისა. . | -- ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 192 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . | — ,, | — ,, | 101 5/8 |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | 99 |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | 101 5/8 |
| 5%. . . . . . . | — ,, | — ,, | 99 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 1/4 | — ,, | — ,, |

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩაქოანა, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11 1/2—12 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12 1/2—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1 1/2 საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ზ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერი- ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## ვიღებ შესაღებად

ყოველ გვარს ქსოვილებსა და აგრეთვე გასარეცხად ფარდებსა და ხელთათმანებს. შემოკვეთილი სამუშაო კეთდება სწრაფად და სუფთად.

განოვის ქუჩა, სახლი № 6, პოლიცმეისტრის მმართველობის გვერდით.

ი. ბუხრაძე

(2—1087—1)

ბალახეულის კარამელი
ხველების წამალი
„ბემცეი ბონს“
ზ. სემადენისა, კიევში
უმთავრესი საწყობი Александра Венцель, С.-Петербургъ. Гороховая, № 33. ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებში და აფთიაქების მაღაზიებში.
ფასი რკინის კოლოფისა 25 კაპ.
M. (20—18)

დაიბეჭდა და ისყიდება
ხიდდეკელის, წერა-კითხვის საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში
მეორე გამოცემა წიგნისა:
УЧЕБНИКЪ
ГРУЗИНКАГО ЯЗЫКА
для русскихъ
СОСТ. МИХАИЛЪ НАСИДЗЕ
цѣна 50 коп.
(10—5)

გაუფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას!!

## საპონი

პროვიზორი

ა. მ. ოსტროუმოვისა

სრულიად ჰკარგავს თავის თებოს, თმას ზდის და ნამდვილად აყენებს თმის ჩამოსვლას.

ფასი ერთ ნაჭრისა 30 კაპ. მოდიდოები 50 კაპ. რომ არ მოსტყუვდეთ მოითხოვეთ ნამდვილი საპონი, რომელსაც იარლიკზედ აქვს მთავრობისაგან დამტკიცებული მარკა № 3374.

ისყიდება ყველგან!

საწყობი: მოსკოვი, ლიალინის ვიწრო ქუჩა, საკუთარი სახლი.

(20—9)



## „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, | |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, | |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, | |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, | |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7 1/2 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.



კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაშავის ნასვვს); არჩენს გრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს გარედგან მოსიარულეთა და თავის სახლში დაწვენითაც ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 5—7-მდე.

ადრესი: საპიორის ქუჩა, სახლი ბაბანასოვისა № 41.

(10—1028—6)

„ნევის კაპრიზები“

დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. და ოდეკ.

სატექნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—34)

## სასაპარელო ესსენცია კოლბეირსა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.